

# გოიჭონეს ინფრასტრუქტურის პროექტები, ცვლილებები შიდა ინფრასტრუქტურის განვითარებაში

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 მაისის სხდომაზე მოიწონეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020-2021 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურის პროექტები:

- ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩების (ბესიკის ქუჩის პირველი შესახვევი – 705 გრძივი მეტრი, დიუნანის ქ. – 340 გრძივი მეტრი, ჯანაშიას ქუჩა – 347 გრძივი მეტრი) რეაბილიტაცია;
- სოფელ მაკვანეთში ჭაღის უბნის გზის რეაბილიტაცია (1745 გრძივი მეტრი);

- სოფელ მელექელურში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (876 გრძივი მეტრი);
- სოფელ ნატანებში (კაპროვანი) ასფალტ-ბეტონის გზის რეაბილიტაცია (1200 გრძივი მეტრი);
- სოფელ გურიანთაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (1813 გრძივი მეტრი);
- სოფელ კონჭკათში (კატისციხის უბანი) ცენტრალური გზიდან მთავარ-ანგელოზის სახელობის მამათა მონასტერთან მისასვლელი გზის მოწყობა (791 გრძივი მეტრი);
- სოფელ დეგბუში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (1390 გრძივი მეტრი);
- სოფელ ბოხაურში

(ვატულოს უბნის) გზის რეაბილიტაცია.

ამავე სხდომაზე მიიღეს დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №21 დადგენილებაში. ცვლილებები მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც გომისმთა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოცდამეათე ტერიტორიული ერთეული გახდა და მას დაბის სტატუსი მიენიჭა.

კიდევ კარგი, რომ სხდომის დღის წესრიგი და შესაბამისი დოკუმენტაცია



დეპუტატებისა და სხდომაზე დამსწრეთათვის წერილობით ხელმისაწვდომია, თორემ იმის გამო, რომ უკანა რიგებში საერთოდ არაფერი იხმის, ამ ინფორმაციის მომზადებასაც დამონტაჟება?! გთხოვთ, სხდომაზე დამსწრე ჟურნალისტებს შეგვიქმნათ მოსმენისა და ინფორმაციის მომზადების ულემენტალური პირობები.

## ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.**

ყოველკვირეული გამოშვება. № 17 (10353) 20 ივლისი, 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

### „ბიომედიკა-გეოგრაფია“ „COVID 19“ პირუსის ანალიზებს თანამედროვე აპარატურით ჩაატარებს



**ალიონი.** ქ. ოზურგეთში, შპს „ბიომედიკა გეოგრაფია“ ლაბორატორიაში „COVID 19“ ვირუსის ანალიზების ჩატარება ოფიციალურად დაიწყო.

ლაბორატორია გურიის გუბერნატორმა ზურაბ ნასარაიამ დაათვალიერა.

როგორც აღნიშნული კომპანიის დირექტორმა ტარიელ თავიშვილმა და ექიმმა დავით მდინარაძემ აღნიშნეს, ეს ლაბორატორია კარგი შეწყობის გურიის რეგიონისთვის, რომელიც ადგილობრივი თანამედროვე ლაბორატორიული

## SOS! ოზურგეთში ალუმინის სხმულების საწარმოს აშენებას აპირებენ

**ალიონი.** ქ. ოზურგეთში, თავიშვილის ქუჩაზე (ექვლია, ოფიციალურად სოფ. ლიხაურის ტერიტორია) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების (№6524/01, 10.07.2020 წ.) და სკოპინგის დასკვნის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კარგად ცნობილი კომპანია „მანსაროვარის“ საკუთრებაში არსებული, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე შპს „არერსა მეთალი“ ალუმინის ნარჩენების სხმულების ჩამომსხმელი საწარმოს აგებას აპირებს.

**როგორც გურიის გუბერნატორმა ზურაბ ნასარაიამ გაზეთ „ალიონს“ უთხრა, ეს მშენებლობა ადგილობრივი ინიციატივა არ ყოფილა.**

სამინისტრო ამ ბრძანების საზოგადოების ინფორმირებულებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე გამოკერით გვემავდა. გასულ ხუთშაბათს ეს ბრძანება სოფ. ლიხაურში, ადმინისტრაციულ შენობაში, დაფაზე გამოუკრავთ (!).

გასული კვირის დასაწყისში გაზეთმა „ალიონმა“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისადმი გადმოგზავნილი ეს ბრძანება უმაღლესი თავის ფეისბუქგვერდზე გამოაქვეყნა, რასაც საზოგადოების დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, გასულ ხუთშაბათს, ოზურგეთის მუნიციპალიტე-

ტის საკრებულოს სხდომაზე, დეპუტატ ნანული ორაგველიძის შეკითხვაზე, იცოდა თუ არა საკრებულომ აღნიშნული ბრძანების შესახებ, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ უპასუხა, რომ პირველად ესმოდა, ანუ არაფერი იცოდა (!)

სპეციალისტების კომენტარების გარეშე არას ვაშობთ საერთაშორისო კონვენციებზე, რომლებიც ოზონის დამაშლელი ნივთიერებების რეგულირებას გულისხმობს, მაგრამ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, განსაკუთრებულად რომ „ზრუნავს“ გურიის რეგიონში ფლორისა და ფაუნის „დასაცავად“, ამას მოწმობს გურიის მდინარეების ხეობებს შესული ქვიშა-ლორღის მომპოვებელი კომპანიების ბარბაროსული მოქმედება, და ახლა კიდევ ერთი დიდი ეკოლოგიური საფრთხის - ალუმინის სხმულების საწარმოს აგების მცდელობა.

მინც რა სტრატეგიული ადგილია ისეთი ოზურგეთი, სადაც, სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და ტურიზმის განვითარების ნაცვლად, აუცილებლად უნდა მოხდეს ტყეების გადამამუშავებელი თუ არა, ალუმინის სხმულის ჩამომსხმელი საწარმოს აშენება? ასეთი წარმოება გამოყოფს დიდი ოდენობის ტოქ-



სიკურ ნარჩენებს, რომელიც ატმოსფეროში გამოიფრქვევა. ასეთი საწარმოები, როგორც წესი, დასახლებული პუნქტებიდან და მდინარის აუზიდან შორს არის. თანაც წინა წლებში გვაქვს „მანსაროვარის“ და „ვეო გადამამუშავებლის“ საქმიანობის მწარე გამოცდილება, როცა ისინი კუსტარულად ტყეებს ადნობდნენ მეორადი აკუმულატორების ნარჩენებიდან და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „ორქისის“ კვლევით მდინარე ბუფი საქართველოს მცირე მდინარეების შორის ყველაზე მეტად დაზიანებულია ტყეების ნარ-

**იკითხეთ გაზეთი „ალიონი“**

**საცალო ფასი – 60 თეთრი**

**ხელმოწერა:**

**6 თვით – 15 ლარი**

**ერთი წლით – 30 ლარი**

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- განხილვა, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;


საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:  
ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის გარეშე ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო მომსახურების**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
ვიორგი გოგოლაძე  
gia\_77@mail.ru  
551 576060  
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3  
ტელ: 558 499 100  
გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანიში“  
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოქმბათი ძეგლი  
«ალიონი»



მოსახლეობა 34 მეტრში მდებარეობს, ხოლო მდინარე აჭისწყლის არხი -55 მეტრში (!)

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს დაგეგმილი აქვს ალუმიინის ჯართის გადამამუშავება და თერმული მეტალურგიით სუფთა ალუმიინის მიღება. დღე დამეში სამი ციკლის წარმოებაა დაგეგმილი, რაც 27 ტონას შეადგენს. ხოლო საწარმოს წლიური წარმადობა -8424 ტონას.


პროექტის თანახმად, საწარმოში შემოტანილი ალუმიინის ჯართის დასაწყობების შედეგ, მოხდება გადარჩევა, დამატებითი მინარეგებისგან გათავისუფლება და დასაწყობება. ჯართში შესაძლებელია რადიაციის სხვადასხვა ლოკალური წყაროების მოხვედრა, ამიტომ ჯართს ჩაუტარდება რადიაციული კონტროლი...

საწარმოს წყალმომარაგება განხორციელდება ჭაბურღილიდან, რომელზეც საწარმოს ოპერირების დაწყებამდე შპს „მანსაროვარი“ აიღებს ლიცენზიას, ხოლო სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაერთვება 40 კუბური მეტრის მოცულობის საასენიზაციო ორმოში...

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პირველ ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სასაინჟინრო, ისე არასაინჟინრო ნარჩენების წარმოქმნა. ალუმიინის ჯართისგან წელიწადში მიიღება 100 ტონამდე წიდა, რისთვისაც გათვალისწინებულია წიდასაყარის მოწყობა.

კიდევ ერთი საინჟინერო დეტალი: როგორც სკოპინგის დასკვნაში წერია: ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში, როგორც სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ისე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის საინფორმაციო დაფაზე (!) განთავსება...მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემისათვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდა საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე და საზოგადოების მონაწილეობა და მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნა წერილობით, აგრეთვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში წარდგენილი არ ყოფილა (!)

**ნანუსული ორგანიზაციამ**, დეპუტატი (საკრებულოს სხდომაზე გამოსვლიდან): -„ჯერ ტყვიის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის დაგეგმვა რა იყო ოზურგეთში



და ახლა ალუმიინის ქარხანა უნდა აშენდეს... მართალია, ალუმიინი ორგანიზმისთვის ისეთი დამზიანებელი არ არის, როგორც ტყვია, მაგრამ ალუმიინი კალიან ალვილად იზანტება მკვრივ სახით კამრში, ალვილად ითვისებს რადიაციას. მე ძალიან მიკვირს, რატომ შემოვიშვით ეს კომპანია ოზურგეთში. ადგილობრივი წარმოება არ გულისხმობს ასეთი დამზიანებელი ქარხნის მშენებლობას. ჩაის გადამამუშავებელი საწარმოები რამდენჯერმე ახსენა მთავრობის ხელმძღვანელმა თავის სიტყვაში. ოზურგეთში, სადაც ათეულობით სხვადასხვა დანიშნულების საწარმოები არსებობდა მათ შორის მანქანათმშენებელი ქარხანა, ახლა წარმოუდგენელია ასეთი ქარხნის აშენება. მე ვფიქრობ მოსახლეობა აუცილებლად გამოვა ამის წინააღმდეგ. ასევე ძველა რომ საკრებულო ხალხის გვერდით იქნება.

უნდა დაიწყო მანქანათმშენებელი ქარხნის ფუნქციონირება, ასეთი ქარხანა ოზურგეთში არსებობდა. მე როდესაც შემოვედი საკრებულოში ჩემს მოვალეობად ჩავთვალე (რადგანაც მე ინსტიტუტის თანამშრომლებმა ხმა მომცეს) მეცადა ინსტიტუტის რეაბილიტაცია, ასევე იმ ყველაფრისა, რაც ინსტიტუტს ეკუთვნოდა, ასეთი იყო ექსპერიმენტული ბაზები და მანქანათმშენებელი ქარხანა. იყო დროებითი სამუშაო ჯგუფი და ამ საკითხზე ვმუშაობდით. აქ იყო 6 დეპუტატი, მათ შორის „ქართული ოცნებებიდანაც“, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. 12 ადამიანისგან შექმნილი 20 - გვერდიანი რეკომენდაცია მაშინ არ განიხილა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, არც პარლამენტმა. ყველა ამბობდა, რომ ჩვენს კომპენტენტიაში არ შედისო. ახლა, ყოველ მიზეზს გარეშე, უნდა დაისვას საკითხი, რომ მანქანათმშენებელი ქარხანა აუცილებლად უნდა შეისყიდოს მუნიციპალიტეტმა და მოხდეს მისი რეაბილიტაცია.“

**ლევან ხინთიბიამ**, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ თავმჯდომარე: - როცა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება, როგორცაა ქარხნის მშენებლობა და მითუმეტეს ისეთი ქარხნის, რომელმაც შეიძლება იქონიას გავლენა ეკოლოგიურ საკითხებზე და გარემოს დაინტერესების შეფასების დოკუმენტზე, აუცილებელია მოსახლეობის აზრის კვლევა. ადამიანის უფლების პირველი გამოხატულება, რაც კონსტიტუციით გარანტირებულია არის უსაფრთხო გარემოში ცხოვრება. ამიტომ მთა-

ხლეობისთვის გვერდის ავლა არ შეიძლება იყოს გამართლებული პანდემიით. პანდემია არ შეიძლება იყოს საფუძველი იმისა, რომ ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი ამოვადოთ. ყოველ მიზეზ გარეშე გვეჭირდება განიხილვით გარემოზე ზემოქმედების ინდექსი, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა რისკის წინაშე ვდგავართ, როცა ასეთ მნიშვნელოვან პროექტს ვახორციელებთ.

ასევე აუცილებელია საქმის კურსში იყოს ადგილობრივი ხელისუფლება ეს პროექტი გავლენას მოახდენს ადგილობრივ საბიუჯეტო შესაძლებლობებზე. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს სად, როგორ, რა ფორმით, რა ტიპის ქარხანა შენდება მის ტერიტორიაზე, რომელიც ფინანსურ, ქონებრივ საკითხებზე იქონიებს გავლენა. ახლა გამოდის ის, რომ არც ადგილობრივი ხელისუფლება საქმის კურსში, არც ადგილობრივი მოსახლეობა. შესაბამისად, ბრმადა ხორციელდება პროექტი. ამ პროექტში არის რაღაც ხიბლიც, ეკონომიკის გამოცოცხლებას გამოიწვევს რაღაც დოზით, მაგრამ რა დოზით, ზუსტად ამაზეც ვერ ვილაპარაკებთ, რადგან წინმსწრებად ინფორმაცია არავის მოუწოდებია.

**ლევან მუხამანაძე**, ოზურგეთის პროვინციის ხალხის დამფუძნებელი: - ალუმიინის ქარხნის აშენება დაანგრავს ისევე ეკოლოგიურ სიტუაციას. მე გავეცანი ანგარიშს, სადაც წერილობითი საფრთხეებს შეიცავს ქარხანა. საკმაოდ მაღალია რისკი. 9 000 ტონის გადამამუშავება დაგეგმილი წელიწადში. ეს საკმაოდ დიდი ციფრია. აღსანიშნავია, რომ ქარხნიდან უახლოესი მოსახლე მხოლოდ 34 მეტრით იქნება დაიცელებული. 55 მეტრში ვადასმდინარე აჭისწყალი. ვაპირებ მოვიძიო ინფორმაცია დაავადებების გავრცელების შესახებ იმ ქალაქებში, სადაც უკვე მუშაობს ალუმიინის ქარხნები. მოსახლეობა ერთად უნდა დადგეს, ეკოლოგიური სიტუაცია პირდაპირ აისახება ჯანმრთელობაზე შესაბამისად ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, ჩემი აზრით.

**თამაზ ტრაპაიძე**, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი: -საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გასცა ბრძანება, სოფელ ლიხაურში, ფაქტიურად კი ქალაქ ოზურგეთში (ყოფილი მანქანათმშენებელი) მთორადი ნელეუმიდან ფერადი მეთონების (ალუმიინის სხმულების) საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ. დასკვნა მომზადდა ისე, რომ არ ჩატარებულა საჯარო განხილვა. მიზეზი კი ის ვახლავთ, რომ პანდემიის გამო მთავრობის დადგენილებით 2020 წლის 26 მარტიდან შესაძლებელი გახდა სკოპინგის დასკვნისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდეს საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე. პანდემიის პერიოდში მოსალოდნელი საფრთხეები გასათვალისწინებელია, მაგრამ საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებების შეზღუდვამ მათი ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათივე ჩართულობის გარეშე შესაძლოა მეტი ზიანი მოიტანოს. როცა ადამიანის უფლების შეზღუდვაზე საუბ-

არი, მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნას ყველა შესაძლებლობა, რათა ეს შეზღუდვა მცირე დოზით განხორციელდეს. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიზანი გარემოსდაცვითი საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფაა. ისმის კითხვა: გამოყენებული იქნა კი ყველა სათანადო რესურსი? ადმინისტრაციული წარმოების პროცესში იზრუნა თუ არა სამინისტრომ, რომ მიწიქვე იმ ხალხისთვის მაინც მიეწოდებინა ინფორმაცია, რომელიც საწარმოსთან ახლოს ცხოვრობს (ერთ-ერთი მოსახლე საწარმოდან მხოლოდ 34 მეტრითა დაშორებული)? როგორც ჩანს, არა, რადგან ახლომცხოვრები არც ერთი მოსახლე ინფორმირებული არ იყო ამ პროცესებთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, დღეს უკვე სკოპინგის დასკვნა მომზადებულია და მალე გზმ-ც მომზადდება. საჯარაუდოდ, იგივე სკენარი განმორდება, ადგილობრივი მოსახლეობა და საზოგადოების დაინტერესებული ნაწილი ვერ შეძლებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას, რაც ძალიან სამწუხაროა და ეს დროებითი ნორმა (მთავრობის დადგენილება)

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ** ამ რედაქციას შემდეგი პასუხი გამოუგზავნა: „გაცნობით, რომ მიმდინარე წლის 10 ივლისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შემოვიდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მ/წ 7 ივლისის №2/2-576 ბრძანება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლიხაურში მეთორადი ნელეუმიდან ფერადი მეთონების წარმოების საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ. აღნიშნული ბრძანების განთავსების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოს საინფორმაციო დაფაზე დაგეგვია ჩვენ. შპს „არერსა მეთალმა“ საკვალბეულო გზმ-ის ანგარიშის მომზადება უნდა უზრუნველყოს 58 (23.06.20) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად; გზმ-ის ანგარიშის გაცნობის შემდეგ მუნიციპალიტეტი მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით მიიღებს გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უზრუნველყოფილი იქნება სოფლისა და ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა მაქსიმალური ინფორმირება.“

**ზურაბ ნასარაძე**, გურიის გუბერნატორი: - გურია არის მწვანე რეგიონი თავისი გარემოთი, ბუნებით. მაქსიმალურად უნდა შევინარჩუნოთ ეკოკლიმატი, რომელიც ჩვენს რეგიონშია. რეგიონის მსმტაბით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ურბანული განვითარება, საწარმოების ფუნქციონირება არ უნდა უშლიდეს ხელს ეკოგარემოს. ის მიმზიდველობა, რაც ჩვენს რეგიონს აქვს ტურიზმის კუთხით უნდა იყოს მაქსიმალურად დაცული, ყველა პარამეტრი უნდა იყოს შენარჩუნებული.

რაც შეეხება ალუმიინის წარმოებას, ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ამ დღეებში შევხვედეთ პასუხისმგებელ პირებს, უფრო დეტალურად შევისწავლოთ საკითხი, სპეციალისტებთან ერთად. ამ საწარმოს შექმნა არ იყო ადგილობრივი ინიციატივა.

# ლიტერატურული გურძია



საქართველოს მფარველთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორგანიზაციის გაზეთი № 5, (8), ივლისი, 2020 წ.

## ნინიკო მუვილოვა

### პროცესია

(გუბაშვილი მუვილოვა - ქუჩი 2020-ის მესამე აღბილი)

კითხვები თავს იკლავენ, როცა პასუხები არ გვაქვს...  
შენ ზიხარ და გრაფიკაციის რაობაზე ფიქრობ...  
შენ ზიხარ და გგონია, რომ გიყვარს დედამიწა...  
დედები კი შვილებს ჰყვიან...  
მკვდარი ხარ შენ...  
იმ მკვდრებით ხარ, აქეთურებს რომ მიგველიან, მათ საფლავებზე ფეხის დასადგმელად...  
აქეთ კი...  
შვილები ხან ფოთლებად იქცევიან, ხან ფანჯრებიდან გადმოიფრენენ და მიდიან...  
უარაფრო თვალებით მიდიან, უარაფრო აწმყოთი და მომავლით და გვიტოვებენ კითხვებს, რომლებიც თავს იკლავენ, რადგან პასუხები არ გვაქვს.  
არავინა ხარ შენ, რადგან მამებიც ჰყვიან შვილებს...  
მამაშენს კი შენთვის არც კი უყვირია...  
ყველა სამარე პირლია...  
სმენადანშულია და სიტყვებ იფინვის ეკლებად ქცეულან...  
რალა უნდა თქვა...  
ზიხარ და არც თუ დახვეწილი პროფილით, გრანელის პოეზიას აგემოვნებ...  
ქუჩაში პროცესიამ ჩაიარა:



მშობლები შვილებს მიაყვებენ...  
ქუჩაში პროცესიამ ჩაიარა...  
გაყიდული შვილების პროცესიამ...  
შენ კი ზიხარ და...  
მერე ისინიც დაგველოდებიან - ჩვენ ჩვენი შვილები, ფანჯრებიდან გადმოიფრენილები, ხეებს ფოთლებად გამოშუქნი, შვილები,  
იქით რომ უნდ აველოთ ჩვენს საფლავებზე...  
დაგველოდებიან - და სამდურავიანი მზერით პასუხებს მოგვთხოვენკ ითხვებზე,  
რომლებიც უპასუხოდ მათსავით თვითმკვლელები გახდებიან...

### მას შემდეგ

(რაც ივლითა ოლოფრენი მოკლა და სოფელში დაბრუნდა)

წუხელ კარს გიმტვრევდა ლოთი ანანია და რომ არ გაუღე, მთელი ქუჩის გასაგონად აყვირდა: ოლოფრენთან ხომ იწეკიო.  
მეზობლის ბავშვებმა ქვ აგესროლეს...  
გაოგნებულმა მოიხედე და კარგად გაიგონე, როგორ გადაულაპარაკა ერთმა მეორეს: ბებია ამბობს, ეს ქალი მტერთან იწეკო.  
ჭორიკანა დედაკაცებმა ენები აიქაფეს, შენ კი...  
თმა გაიშალე, ივლით...  
გაიშალე ეგ შენი სპილენძისფერი დალალები, შეხედვითაც კი ვნებას რომ აღუძრავს შენი ქალაქის მამრებს,  
გაიშალე თმა და ისე გამოიტირე შენი ქალობა...  
შენი ტუტეები დაიტირე, ივლით, აზლუდში რომ ვერ ეტყვიან...  
იტირე, ივლით,  
ბალიშში თავჩარგულმა იტირე, რადგან კაცის მკვლელობა გაგზადეს ნაცნობმა კაცებმა...  
შენ კი...  
ქმარმკვდარო,

არც კი დაფიქრდი, არც შეყოყმანდი...  
და რა მიიღე?  
ბავშვებისაგან ნასროლი ქვა,  
ლოთი ანანია - ყოველ ღამე შენს კართან რომ უშნოდ აისვეტება და ჭორიკანა დედაკაცების მიერ გამოყოლილი გესლი და შხამი...  
გაიშალე დალალები, ივლით და მიატოვე ეს ქალაქი...  
მიატოვე შენი ქმრის საფლავი, შენიანების საფლავები, მიატოვე, საფლავებიც, ივლით, ისინი უსათუოდ გაპატიებენ ამ მიტოვებას...  
თავს უშველე, მკლელად ქცეული ქვრივო...  
შორს ამ ჭაობისფერი ქალაქიდან, ამ წებოვანი ქალაქიდან, ცოცხალი მკვდრების ქალაქიდან, რომლის ყველაზე მაღალი ქონგურიდან დღესაც შემოგყურებს ოლოფრენის მოკვითილი თავი...  
გაიქეცი, გაიქეცი, ივლით!!!

## სტუმარი

### მკა ქაჯანია აივანი

აიხვდავ და თითქოს მზის არის, წვიმს და წვიმიან ამინდს ამშვენებს, მაგრამ ცის სახლი,- ის აივანი, ერთ დღეს უეცრად ამოაშენეს იყო ზღაპრიდან ამონარიდი, უცებ ქუჩაზე ჩამოწვა ღამე და ყველა დროის ყველა ამინდი, მოულოდნელად დატოვეს გარეთ!  
დათმეს კამკამა ათინათები - ქარში ერთმანეთს როგორ იჭერენ, ვერც ნაბიჯ-ნაბიჯ, ასკინკილათი ისტუნივებენ წვიმის ბიჭები.  
რალაც უსაზღვროც და მისაწვდომიც გაუნაწილეს კედლების წყვიდადს და ფარატინა თბილი ნიავიც ოთხმა კედელმა გამოამწყვდია.  
არავინ გრძობდა სინანულს მაინც ოთხი კვადრატის მტკიცე საბაბით! და ფეხარულ ფოთლებსაც აწი მიუხურავენ ცხვირწინ დარაბებს...  
როგორც უსულო მკერდზე კარატი ჩაქრა ძვირფასი ქვა და მინავლდა, სახლს მოემატა ოთხი კვადრატი, ქუჩა ათასით დაპატარავდა.



თითქოს გაწყვიტეს გრძელი ამბავი,- საპნის ბუშტების ცაში გაშვების და დიდების თვალს მიუსაფარი გაიზრდებიან ჩქარა ბავშვებიც.

### გზა სამშობლოდ

საგზად მთის ჩქამს ვერ შემომამშველებ, წამლად,- შენს ქვებზე გალახულ წყაროს, გზა სამშობლოდ არის რა შორი, გზა სამშობლოდ არის რა ახლოც...  
ტაო, შენს გულზე ჩამოყრილ ლოდებს რა ხელი მოკრებს - დაწვეტილ მძივებს, ერთ დროს მტრის ურდოს ერკინებოდნენ, დღეს წელში მოხრით ჩიტის სიმძიმეც.  
მათ, ვისაც ზეცა გეჭირათ მზრებით, ოშკით და ტბეთით, ქედით შავშეთის,

მზრებნამოყრილი ქვის მეომრები, გამომეტირეთ, როგორც ბავშვები - გალახულები, ჩემე ვზოდან მომტირით და ხმა მწვედბა ზარივით, რომ შეგატოვებ მავანს მეზობლად და დარდისაგან დამხვდით გაზრდილი. დღეს მიმძიმს სიტყვაც რომ გამოვნახო, (თქვენს დადარულ შუბლს თვალს არ ვაშორებ), გზა სამშობლოდ არის რა ახლო! თან სამშობლოდ გზა რა შორი!

### პირველი სიყვარული

აცილებ როგორც გადამფრენ ფრინველს, სანახებისკენ სხვა ცის და მიწის, როგორ უხდება სიყვარულს პირველს გულანთებული წყვილების ფიცი...  
რომ მხოლოდ ქოხიც გაცხოვრებს ისლის სულ ცოტა ნისლით და მზის არილით, რომ სიცოცხლესაც გაიღებ მისთვის, რამე წვრილმანი სასოვარით...  
და ვარსკვლავითან ზიარ ნიშნობას თან ჟრუნტელის ახლავს მხეველები და ფიცს იბარებს იმ წამს ბავშვობა, ვით საქორწინო საკურთხეველი...  
აქვს ყველა სიტყვაც, მოწმეს იღუმალს სიმართლის ოქროს წყალით ნაფერი, ის ქარაფშუტა მესაიდუმლე ვითომ ბევრის და არც არაფერის...

მას შემდეგ, თითქოს თავად ავსულთა დახლართეს ჩვენი ბედ-იბლების ნართი, რადგან ძვირფასო, მერე ასრულდა რაც სიტყვებს შორის დარჩა და არ ვთქვით...  
შენი ფიცი და ჩემი უარიც - (ვით ორლესული ხმალი ვერსალის), თურმე ორივე იყო ტყუილი მაშინ რომ ჟღერდა სიმართლესავით...  
შემოიკიდეს ცინებმა ცეცხლი, შეიბა ზეცის კედელაც კარი, არც მე შემაშრა დიდი ხნით ცრემლი და ვერც შენ თავი ვერ მოიკალი...  
თვალეში მაყრის სარკის ნამსხვრევებს კვლავ დედოფალი,- ავი ზამთარი და უძლური ვარ, ვიყო მას მერე, იმ ტყუილივით ალაღმართალი...

### ცრემლი

რა წმინდა რამე ყოფილა ცრემლი, უცნაურია, - სულ უფრო შრები, რაც გადის წლები...  
დრო იმდენ მზეს და სინათლეს მართმევს, ვსვამ შესქელებულ წყვიდადს ხელადით და რაზეც ასე ვტიროდი ადრე

ვეღარ ვიტირებ ახლა ვერაფრით...

თუ ავარიდებ სმენას ქილიკებს და არ მისწვდება ტყვივლი ურანს, უკანასკნელად გამოვიტირებ ხვალ ატირების დაკარგულ უნარს...

# სოფიო ღლონტი

\*\*\*



\*\*\*

დღეს ყვავილდება ალუბლის ბაღი,  
 დღეს ავიწყდება ხეებსაც სევდა,  
 ამ დროს ფიქრი და ოცნება არ ღირს,  
 ამ დროს თვალები შემოქმედს ხედავს...  
 ჭრელი ფერები, ნელსურნელება  
 და მედიდური კოკორ-ვარდები,  
 რა მშვენიერი გათენდი, დილა  
 და რა ლამაზად დამიღამდები...

ბაღში აყვავილებულა  
 გულყვითელა  
 ნარცისი,  
 ვაზს ეტრფოდა,  
 მოჰხვეოდა ეშხიანი  
 ვარდი და  
 ასე როგორ შეიძლება,  
 ჩემი იყო თან  
 სხვისი?!  
 გული მტკივა, ასე  
 ძლიერ როგორ  
 შემიყვარდი და...  
 სიამაყე მოგებალა,  
 გქვია შენაც ნარცისი,  
 მე კი ყელზე მოგეხვეი,  
 როგორც ვაზი  
 ტალავერს,  
 მე არ ძალმიძს, შენი  
 თუ არ, არ ვიქნები არც  
 სხვისი,  
 გეფიცები, ჩემო კარგო,  
 ვარძიას და  
 ალავერდს,  
 ბაღში აყვავილებულა  
 თვალხატულა  
 გვირილა,

მას კი მორცხვად  
 უღიმიან სიფრიფანა  
 იები,  
 ახლა რაღაც  
 უჩვეულოდ გული  
 მომეტირიალა,  
 მგონი ვაზის  
 ტალავერებს ჩემი  
 სევდით მივები...  
 ბაღში აყვავილებულა  
 ჭრელიკოპლება  
 ყვავილი,  
 მივებარე, ჩავისუნთქე  
 მისი ნაზი სურნელი  
 და დამთვრალი, მე  
 შენს სახლთან  
 რუღუნებით ჩავივლი,  
 ისე, როგორც  
 ბავშვობისას, პატარა  
 და სულელი...  
 ბაღში აყვავილებულა  
 გულყვითელა  
 ნარცისი...  
 ასე როგორ შეიძლება,  
 ჩემი იყო, თან სხვისი?!

## ვუკლვნი კოეტი პასტანო ღლონტს

### „ბათუმში არის წვიმა და არაფერი სხვა“

წვიმის წვეთებით ინამავს სახეს  
 დილა, რომელიც უხდება ქალაქს,  
 პალმა წამწამებს სიმორცხვით არხვეს  
 და პორიზონტზე მზის სხივად ქარგავს...  
 წვიმის წვეთებით ნაყრდება ღელვა,  
 მღვრიე მკლავებით იხუტებს ტალღას,  
 ზღვა მაცდურია, ვითარცა ევა,  
 რომელიც ელტვის ვნებებით დაღლას...  
 ცას, ცისარტყელა ემჩნევა რკალად,  
 ბულვარს პირველი მზის სხივი მისწვდა,  
 ბათუმო, შენში დიდია ძალა,  
 შენში შობა და აღდგომა მიხდა...  
 წვიმის წვეთებით ინამავს სახეს,  
 ღამეც რომ ასე უხდება ქალაქს,  
 პოეტი, რომელიც ბათუმში ვნახე,  
 პოეტი, რომელიც უხდება ქალაქს...  
 ბათუმო, შენში დიდია ძალა,  
 ბათუმო, შენში დიდია ძალა!...

# ოტია ტრაკაიძე



## გემზე

გემზე ვართ, ნელა ირწყვა გემი,  
 მზე წყალში ფეხის ჩაღმას აპირებს,  
 მხარზე ბავშვივით დამადე ხელი,  
 ოცნების ზღვაში გამინაპირე.  
 რომ არ გიყვარდე, რა მეშველება,  
 ზღვაზე დახრილი დილის ცისკარო,  
 ზეცის და მიწის მშვენიერებაც, შენზე  
 მხოლოდ სიმღერა როგორ ვიკმარო.  
 ტალღებს ნათელი გადააფინე  
 თორემ მოგვიხტა ღამე მთებიდან,  
 მზე წყალში თავის მოკვლას აპირებს,  
 გადაარჩინე შენი თმებიდან.

## ქართველთა სისხლი სამართალს ითხოვს

ქართველთა სისხლი სამართალს ითხოვს,  
 აგერ რამდენი საუკუნეა,  
 მაგრამ ომია და ომში ხშირად  
 მრუდე სწორია, სწორი მრუდეა.

ქართველთა სისხლი სამართალს ითხოვს,  
 ეუთო-ს აღარ არის მისია,  
 და არა მხოლოდ ეკონომიკის,  
 სამართალისაც დღეს კრიზისია.

\*\*\*

დავბადებულვარ კერიის პირას,  
 ბებიაქალად მყავდა ცისკარი,  
 ანგელოზებმა ფრთა ფრთას შემოკრეს  
 და მეც პირველად ცა შევიცანი...  
 და მას მერეა, რასაც ცა მეტყვის,  
 ვაქცევ ლექსებად, მოწმეა ღამე,  
 ასეა უკვე კარგახანია,  
 დავბერდი, მაგრამ არ დავიდალე.  
 დავბადებულვარ კერიის პირას,  
 ბებიაქალად მყავდა ცისკარი,  
 ანგელოზებმა ფრთა ფრთას შემოკრეს  
 და მეც პირველად ცა შევიცანი.

\*\*\*

## ზომიერთ პარლამენტარს, უფრო სწორად, მათი უმრავლესობას, არც თუ ხუმრობით

ამომრჩეველი – მომყვანი შენი,  
 ნავის ყუთში რომ ეტებს ნამცეცებს,  
 შენ რას უყურებ, პარლამენტარო,  
 დასავესებ თვალებს საით აცეცებ?

მოგწყინდა უკვე ფუჭი სიტყვები,  
 რასაც ჩადიხართ, არ გეკადრებათ,  
 სავარძლებს ირგებთ, პრემიებს იღებთ  
 და ჩვენი ბედი არ გენაღვლებათ.

ვერ გამოვიტყვი, თქვენ რა შეცვალეთ,  
 უსამართლობის ქვეყნად ბუმი,  
 ხალხს დაეკითხეთ თქვენ თუ ვერ  
 ხვდებით,

მაგალითია – აგერ გურია.

ბოდიში, ოთხ წელს თქვენ ვეღარ  
გაძლებთ,

უკან უფსრული, წინ მეწყერია,  
სიცრუის მარხილს, თქვენ რომ მიყვებით,  
ნაპირზე გასვლა არ უწერია.

\*\*\*


მე ტრაგიკული სიკვდილი მელის,  
 კუბოს ასწვენ ხელში ქარები  
 და ქვალორიან ცივ სამარეში  
 ჩამასვენებენ ყორნის თვალები.

აქ დამთავრდება ჩემი გზაწვრილი,  
 რაც კი მივლია მთა და ველები,  
 დამიტირებენ ლექსის პქარები  
 და მარცვალ-მარცვალ დავიცრემლები.

ამოვიმინებს ბებური მთები,  
 ზეცა გადახსნის გულმკერდს ზვირთებად,  
 ხეებს გაღვლის ზარი წუხილის,  
 წამოვა წვიმა უწყვეტ ნისლედად...

მე ტრაგიკული სიკვდილი მელის,  
 კუბოს ასწვენ ხელში ქარები  
 და ქვალორიან ცივ სამარეში  
 ჩამასვენებენ ყორნის თვალები.

# ჯემალ კეჭაყმაძე



# ნატურალური ომი

### ღმერთსა თქმული იუმორისკა

არც ერთ თქვენგანს არ გისურვებთ,  
 ჩამდგარიყთ ჩემებრ დღეში:  
 შვილიშვილი მევედრება,  
 წამიყვანე პარლამენტში.

კვითხე: ბაბუ, თუ რა ხდება,  
 ასე რატომ მეხვეწები?  
 – ჭურში გძინავს? სამხედვლან  
 გამოქცევიათ მხეცები,

სხვა ადგილი ვერ უნახავთ,  
 უძებნიათ სულ ცეცებით,  
 პარლამენტში შეუყვარიათ,  
 შემახვდე, გეხვეწები...

ერთად ამდენი ნადირი  
 არსად არასდროს მინახავს,  
 ვერაფერს რომ ვერ გაუგებ,  
 ლობისტები სად, ვინა ჰყავთ.


მეფე ლომის მეფე ნაცვალს  
 ფეხებთან უწევს მელია,  
 სიძურვილის თესავს მარცვალს  
 დათვი, ტურა და მელია.

სავარძელში ზის კენგურუ,  
 ჩანთაზე გასდევს ლანდია,  
 სპილოც კი მოუყვანიათ,  
 მოუქნელი და ზანტია.

ხიზილალებით ნასუქებს  
 სხვისთვის არ რჩებათ ღომია,  
 ა, თურმე დეპუტატობა  
 „რაინდებს“ რისთვის სდომიათ.

ტელევიზორში რომ ვხედავთ,  
 სულ სიცრუე და ჭორია,  
 წამოდი, ნატურში ვნახოთ  
 ნატურალური ომია.

# ჯემალ ღობორჯბინიძე



\*\*\*

არ ვიმეგობრებ ქურდთან და ბოზთან, მშრომელი კაცი ამ გულს ახარებს, კვლავ ვუვლი ამ ჩემს ბალსა და ბოსტანს, სატირალს ვტირი, ცრემლიც დავღვარე.

მამული ჩემი საფიცარია, მედგრად შეხვდება კვლავ დრო-ჟამს მრავალს,

ვეტრფი წინაპრის სახლს ფიცარიანს, ვიშრომებ, მანამ ამ ქვეყნად დავალ.

მე ოთხი შვილის წრფელი ვარ მამა, შვიდ შვილიშვილის გულგლადი ბაბუ, სამმა დიდ ბაბუდ გამათამამა, ერის მრავლობით ვიქნებით ყაბულს.

ცამეტი წიგნი დამიბეჭდია, კარს მეთოთხმეტეს მომადგა ჯერი, ნურავინ მეტყვის, რომ ვარ ბენია, მემღერება და სამღერაღს ვმღერი.

კვლავაც გულსა მტკენს, გვყავს ქერი-ობლები,

სოფლად ჩამქარალა მრავალი კერა, დაცარიელდნენ ჩვენი სოფლები, მამულის მტრები ჩვენს მიწებს ზვერაგვს.

ყველას გვეძახის ქვეყნის მთა-ველი, ნუ გავახარებთ უცხოთა გვარ-ტომს, მამული გვიხმობს, ყველას აქ გელით, არც ერთი გოჯი მიწა არ დავთმობ.

მამული ჩემი საფიცარია, მედგრად შეხვდება ის დრო-ჟამს მრავალს, ვეტრფი წინაპრის სახლს ფიცარიანს და ვიღვწი, სანამ ამ ქვეყნად დავალ.

\*\*\*

დილით სისხამზე ვდგები, მერე ვაჩაღებ კერას, მინდა, დავლოცო მთები, ლექსს მათი მადლით ვკვერაგ.

მერე მივდგები ხატთან, გულში წარმოვთქვამ ლოცვას, საწუთროს ლექსით ვხატავ, ღმერთო, შენ მშობე მგოსნად.

ვუვლი ბალსა და ბოსტანს, შევხარი მთას და ველს, წამით არა მაქვს მოცლა, კვლავ ვნატრობ მეზობელს.

დილით სისხამზე ვდგები, მერე ვაჩაღებ კერას, წრფელად დავლოცე მთები, ლექსს მთების მადლით ვკვერაგ.

\*\*\*

ვეტრფი მგოსნის აზარტიანს, რითმა-რითმით ლექსი ღობოს, შვენის ლადო ასთიანს ვაჟკაცური სალაღობო.

საქართველოს ქალ-ვაჟებო, მამულს თქვენი კვლავ აქვს ნდობა, ქალს – მშვენიებით კაშკაშობა, ვაჟს – სიქველე, რაინდობა.

იხარეთ, ერი ამრავლეთ, კვლავ მოყვრულად მოდის მტრები, საქართველოს ამ მთას და ველს ენთეთ, როგორც კელაპტრები.

არ შემცირდეს მხვნელ-მთესველი, ემეგობრეთ კვლავაც წიგნებს, მამულის წინსვლას მოველი, მერმისისკენ გზას გავიგნებ.

არსად აღარ ჩაქრეს კერა, სოფლებს მეტი ერთგულება, ამ სტრიქონებს ცრემლით ვკვერაგ, როყოიდ ნუ გეყურებათ.

საქართველოვ სარუსთველო, სათამარო, სადავითო, ჩემი თავი შემოგველოს

## თემურ მარშანიშვილი წელიწადი



სირცხვილს მაინც გავეძეცი, გავისტუმრე გვიან ვალი, თოფის სროლით გავითენე თოვლიანი იანვარი.

თებერვალში დამიბერა ქარმა, ამომივსო თვალი, სანამდე არ ჩავაყენე ხეში უკვდავების წყალი. მარტმა – დასულ თაენება თვემ ამირია გზა და კვალი, ყველა კვირტი დამიბერა, ამიფორიაქა ქალი. კოცნით თვალი ჩავუღურჯე აპრილს – სულის ჩითილს, ყვავილებით მოუქარგე პენუარი ჩითის. მაისს ბალი გავაშენე, – ახლაც მთხოვენ ქარგებს, – ბულბულები შევეუსიე სულ სისხინა ვარდებს. ასე ხელეუდაყოფილმა მივადექი ივნისს, ხან სიმინდის ყანა ვთონხე, ხან – ნარგავი ნივრის. ჩემმა მერვე საოცრებამ, ვითომ მე რომ მივლის,

ბახმარო, – შემახსენა შუას მისულ ივლისს. აგვისტოში, – რომ იტყვიან, – გამივარდა ყბაი ყბაში, მაინც ბედნიერი ვიყავ, ცოლშვილს ვასვენებდი მთაში. სექტემბერში გავიყავით ცხრა ძმამ ერთი თხილის გული, წიგნები ძლივს შევკუბინე შვილს სასკოლოდ მე იმ ფულით. ოქტომბერში ტენა-კრეფას შევალე გონი, ჯანი, სიმინდი რომ მოვითავე, მერე ჩამოვკრიფე „ჯანი“. დამიძახეს, გეყოფო არყის ქვაბის ძირს ბრახუნე, ნოემბერში ერთად ჩავდე ხულას მართლა ჭირნახული. ჩემთვის ბოლოს მოვიცალე, გამოვიცხვე ცხელი ჭადი, დეკემბერმა დამიხურა ასე მთელი წელიწადი.


## ნაბახ უსეპზე

მოცვიდნენ თეთრი მოზვრები – ამ დილით შენს ბარს მოვძვრები, ნაბახუსეზე ბოხნები დამიბდნენ, ვამბობ: „ოხ, ჩემი!“ ჰაიტ, ჯიუტი ყოჩები – ჭახუნობს ლუდის ტოლჩები, ოხრად დამრჩება ხონჩები, კასრთან ტოტივით მოვხჩები...  
...  
მერე, კალამთან რომ ვრჩები, ასე მგონია, მოვრჩები...

## მერცხალი

ლურჯი აპრილი შეიპარა მწვანე გაზონში, ბავჯაღლო ოქრო – მზე ჩაიღვარა ცხრაჯერ ცხრა ზოლში, შემოფრთხილდა, შემოფრინდა სადარბაზოში, ეს მერცხალია, არ მემულება, არა ღაფოში!  
  
ახალ გაზაფხულს დღესასწაულობს ცა და ხმელეთი, ზამთარი თეთრი მაინც იყო დიდი ბნელეთი. საოცრებაა პატარა ჩიტი, მისი ბგერეთი, ააკვიკვიკა აქ გურია, იქეთ – ჰერეთი.

## ცისანა ჩხაიძე-ჯაში



## დავიბრუნებ დაკარგულს

თორმეტი წლის ბიჭი ვარ, მიყვარს ფიქრი, ოცნება, ღამით, როცა ვიძინებ, ომწონს ზღაპრის მოსმენა. დილით ადრე ვდგები და ვეხმარები დედიკოს ვუვლი, თვალს არ ვამორებ ჩემს დაიკო მედიკოს. გავიზრდები ვაჟკაცი, კარგად მემახსოვრება: სწავლულს მუდამ ექნება ბედნიერი ცხოვრება ისევე ვფიქრობ, მინდა, რომ ავისრულო მიზნები, დავიბრუნებ დაკარგულს, ერთიანი ვიქნებით.

## საბავშვო ლექსები

### საქართველო ბიჭვარდეთ

მზე დაგვანათის მადლა ციდან, ქარი ქრის თუ წვიმა ცრის, ქართველებო, ერთმანეთი გიყვარდეთო, მოგვძახის.  
  
დილით ადრე ჩიტუნები მათი ოქროს ნისკარტით, ქართველებო, ეს ქვეყანა გიყვარდეთო, მოგვძახის.  
  
საქართველოს ყველა დედა ასწავლიდეს უნდა შვილს: არ დატოვონ საქართველო, უერთგულონ მარადის.

\*\*\*

პატარა ფეხბურთელები ერთმანეთს ეჯიბრებიან, მეკარე კარგი გამოდგა, დარტყმებიც მოიგერია. შეიქნა შეძახილები ტაში და ეიფორია, მარჯვედ დაარტყა დათუნამ და გაიტანა გოლია. ისევე მივალ ბოსტანში, სევ მოვრწყავ ჩითილებს, იქ საკენსაც დაუყერი ჭრელა-ჭრულა წიწილებს.

\*\*\*

მზემ შინ შემოანათა ფერთა ლაღი ციმციმით, ვხედავ, ჩემი თოჯინა მხიარულად იცინის. მოფრინდება მერცხალი, ეზოს გაახალისებს, ისევე მოვეფერიები ზამბახებს და ნარცისებს.

# ავთო ბერიშვილი – დოკუმენტური მოთხრობა

## ფ უ რ ი!

გალე მკითხველი მიიღებს ჩვენი მემორის ავთო ბერიშვილის დოკუმენტური მოთხრობების კრებულს „ჩემი ბერიშვილები“, რომელშიც ავთო ბერიშვილი მოთხრობს თავისი ნაწარმოების შიდასა: „გომი“, „სინდისის ქვედა თუ სარწმუნოების ალა“, „თენგი“ და „ფური“.

„ლიტერატურული გზისა“ დამფუძნებელი ნომერი მასკლუზიურად ვამყენებთ ორი-ოღე ნაწილს მოთხრობიდან „ფური“, რომელშიც ასახულია გურული სიმღერების მრავალრიცხოვანი შეგროვების, კოლორიტი პიროვნების ვალერიან ბერიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

1988 წლის ივნისში ანსამბლი გაემგზავრა ამერიკაში, სადაც შრომის სიმღერებისთვის აუცილებელი ატრიბუტები - დიმიტური ურეტი, მაკანეთური აკანი, გიგელი, ვოდორი, წაღი, თონი და შრომის სხვა იარაღები წინასწარ გაემგზავნა.

„თავითმფრინავში მთელი სართულზე ვვდი და იქნე კინობს ვუყურებდი“, გვიყვებოდა ვალიკო. სულ „კრიმინალური“ დაემუქნა ნიუიორკის აეროპორტში „გასასვლელად“ ბერიშვილი. „ფური, ვინცა ორმეტრიანმა ზანგმა ხელი ჩამომართვა და ჰელოუ მისტერ ვალიკო, მთხრა, გადვირე კაცი, ასე უცვით მისტერი რაფერ გავხდი, ან ჩემი სახელი რა იცოდა“.

ჩვენი სასიქადლო მამულიშვილი ანზორ ერქომაიშვილი ვრცელ წერილში „ელესა“ ამერიკაში წერს: „ვამინგრონი ფესტივალი, რომელშიც 100-მდე ანსამბლი მონაწილეობდა, დღის 12 საათზე, ქალაქის მერმა გახსნა. ცერემონიას რამდენიმე სენატორი, მათ შორის ელვარდ კენედი ესწრებოდა. პირველივე კონცერტზე „კრიმინალური“ დარბაზი „დაიქცა“ ისე კიონდნენ ალტყებისგან, რომ ვალიკო ბერიშვილმა იკითხა, ვინმე ხომ არ მოკტაო“. 22 დღე იყო „ელესა“ ამერიკაში, სრული ტრეპი, არნახული შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი ამერიკელები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ქართული ქორწილის ინსცენირებამ კი ყოველგვარ ფანტაზიას გადააჭარბა. შემდეგ ბატონი ამირან თოიძე მუხუბნებოდა, „ვერ წარმოიდგენ, ისე ამაყდ ვიგრძენი თავი, ბედნიერი ვიყავი, ქართველად რომ დავიბადე ამ ქვეყანაზე“.

ქორწილის ინსცენირების მთელი დღეს ვაზეთ „ვამინგრონი პოსტის“ პირველ გვერდზე პრეზიდენტობის კანდიდატის, დუკაკის პატარა, ხოლო ვალიკო ბერიშვილისა და ჭიჭიკო კვჭყაძის დიდი ფორმატის სურათები იყო დაბეჭდილი.

ვამინგრონი „ელესა“ ყველა გამოსვლას, კონცერტს, სხვებისგან განსხვავებით, მსმენელი არ აკლდა, პირიქით, საქართველოს პავილიონი სავსე იყო სტუმრებით. ამიტომაც იყო ჟურნალ-გაზეთებში იბეჭ-

დებოდა ძალზე დადებითი სტატიები. 9 ივლისამდე „ელესა“ ვამინგრონი 20-ზე მეტი კონცერტი გამართა.

ვამინგრონიდან „ელესა“ ნიუიორკში გაემგზავრა. იმავე საღამოს კონცერტი გამართეს. იმ დამით შეხვდნენ „ელესა“ წევრები ქართველ, მაკანეთელ ემიგრანტს, 95 წლის ვიორგი ნაკაშიძეს. გულის-ამაყუბელი სიტუაცია შეიქმნა. საოცარი მუსიკერების წყალობით, ბატონმა ვიორგიმ თითოეული დეტალი გაიხსენა, ძველი ხალხი მოიკითხა. თვალცრემლიანი ბატონი ვიორგი და „ელესა“ წევრები ერთმანეთს დაემშვიდობნენ. მაკანეთელებს ვიორგიმ ოჯახშიც უმასპინძლა. ერთი წლის შემდეგ ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა მისგან ვრცელი ინტერვიუ ჩაიწერა და ფართო საზოგადოებას გააცნო. ვეღარ მოასწრო ბატონმა ვიორგიმ მაკანეთის ხელვა, მალე 97 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„ელესა“ კი მიწვევები, ღონისძიებები არ აკლდა. იწვევდნენ საღამოებზე, რესტორნებში. ერთ-ერთი წვეულების ეპიზოდს ვალიკო იხსენებდა: „დარბაზში ვაზ-მუსიკა ჩართენ, ვინცა ლამაზი ქალი გამომეცეკვა. ბიჯო, შევხედე და აი ქალი ამ ქვედატანს, თეძოებს გვერდებზე იქნეს, აქეთ-იქეთ. ავეცი რაფერც შემეძლო. ბიჭებმა დამძახეს, „ფური“ არ შეგ-არცხეინო. მერე ვიფიქრე, ამ ქვეყანაში სირცხვილი აფერი არაა. პოდა, დავეცე წელის ქვეა ვერ გვერდებზე, მერე წინ და უკან, წინ და უკან, წინ და უკან... აი ქალი ჩემზე ვარსი არ ყოფილა?! დაცხობ, მარა რა დაცხობ იმანც წინ და უკან, ჩემსავით, ფური, დინერა დარბაზი, კიონდნენ ქალები“.

ასე ჩაუტარებია ვალერიანს ფერადკანიან ქალბატონთან ამერიკის შორეულ მიწაზე ქართული სექსის კლასიკური იმიტაცია. კარგა ხნის შემდეგ ამირანს და ვურის კეთილ და დამიჯასტურეს.

ნიუიორკის ცათამბავნიდან გადმოსცქეროდნენ ბერიშვილი ქალაქს. ვალიკო ღურბინით ათვალიერებდა მიდამოს, ერთ ადგილს ჩაკვირდა.

„რაია, ვალიკო, რას ხედავ ამისანს?“ - ჰკითხა გური სისარულიძემ. ბიჯო, გურია, რამ სიმღელეზე ვართ თუ ხედავ შენ. აქედან ავერ, ა, ჩემი ძროხა „კოკი“ დეენახე, ჭალაში ბალახობს“, მიუგო ვალიკო.

მართლაც, რა საოცარია ცხოვრება. ოზურგეთელი ბერიშვილები დაბრუნდნენ ამერიკის შერთებული შტატების პრეზიდენტის სასახლეში „თიერ სახლში“, მისაღებ ოთახში, სხლომთა დარბაზში. ვალიკო ბუხართან შეჩერდა, რომლის მოგუზგუზე ცეცხლთან ჩაფრთხილებს, გადაუჭრათ მსოფლიო გლობალური პრობლემები ტრუმენს, ნიქსონს, ფორდს, რეიგანს...

საოცარია, აბა რა, ავისა და ბუჯვის შესართავთან გაზრდილ კაცს, კომუნისტური პარტიის წევრს, ვალერიან ბერიშვილს საშუალება მიეცა, მსოფლიო კაპიტალიზმის მამამთავრთა ადგილსამყოფელის ზუსტად ცენტრში, მთავარ წერტილში მდგარიყო. არ დაგვიწყდეთ, მკითხველო, რომ ვერ კიდევ 1988 წელს და აშშ-ს მიმართ საბჭოთა კავშირი მტრულად განწყობილი ქვეყანა, საიდანაც შტატებში ჩასვლა მხოლოდ ერთეულთა ხვედრია.

10-11 ივლისს ნიუიორკში გაიმართა ბოლო კონცერტები - ისევე დიდი წარმატებით.

12 ივლისს ანსამბლი მოსკოვში გამოემგზავრა. ოზურგეთში ჩამოსვლისთანავე გუნდის წევრებმა ვლადიმერ ერქომაიშვილის საფლავი მონახულეს, სიმღერით ჩააბარეს ანგარიში დიდ ლოტბარს

\*\*\*

თბილისში ვიყავი, მარტის თვე იყო. მეუღლემ დამირეკა, ვალიკო ვერ არის კარგადო.

დილით დაუგვიანია ადგომა, თუმბურს მოუკითხავს, რატომ არ დეგბო? „ვერ ვარ კარგად“, ძლივს წარმოუთქვამს. თუმბურს ჩემი მუდლისთვის დაუძანა, წვევა გაუზომეს, ძალზე დაბალი გულისცემა და წვევა ჰქონია, სახეზე თეთრი ფერი ელი თურმე. ყავა დაუღეინებიათ, წამლებიც. ცოტათი გამოკეთებულა, ძალა მოუკრებია და უთქვამს: „ვეტები ახლა, ბაღებო, არ შემინდეთ, კარგათ იყავით, აბა, თქვენ იცით, გლოცავთ ყველას“. თუმბურს ოთახიდან გასვლა დაუბრებია, ვალიკოს შეაჩერებია, „ბიჯო, გამიხედე“, მერე ხელით წრე შემოუვლია, „ყველას უთხარი, თლათ ყველას, ვალიკომ დაგლოცათ და გამოგენიშდითო, ყველას, იცოდე“.

არავინ შეუწუხებია, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან კაცი, რომელსაც „ოღათ ყველა უყვარდა“ და „ოღათ ყველას რომ უყვარდა“.




რამდენიმე თვეში 90 წელს ასრულებდა, ვეღარ მოასწრო. ძალიან განვიცადე, ძალიან, სიკვდილის წინ მის გვერდით რომ ვიყავი.

2007 წელს მარტის უღიმამო დღე გათენდა, ეს იყო ვალერიან ბერიშვილის დასაფლავების დღე. ჩემთვის ყველაფერი აირია, თითქოს ცხოვრების რიტმი დამერღვა, ვეღარავინ აღვიქვამდი ძველებურად. აღარ იყო ის ადამიანი, რომლის დანახვის დროსაც კი, ღიმილი გვეწვიოდა, ომბორის და ცხოვრების ხალისი გვემატებოდა. არა, ბუნების კანონზომიერება, უფროსი თაობის წასვლისა, არ დარღვეულა, მაგრამ რა გითხრათ, ძალიან გამიჭირდა.

ნელ-ნელა იესებოდა ეზო სამხმარზე მოსული ხალხით. „ელესა“ წევრებიც გამოჩნდნენ. ყველამ მხერა მათ მაჩერა. სამარისებური სიჩუქე ჩამოვარდა. „ვაი, ვაი“, გაისმა. ეს ზარი იყო, ცრემლნარევი ზარი, მტრული მამაკაცების ნათქვამი. ბოლო პერიოდში ხშირად მინახავს ვალიკო დამწუხრებული სახით, მეტყვოდა, „ზარი ვუთხრათ ბიჭებმაო“. ახლა კი მას ეუბნებოდნენ ზარს მისი სათაფლანგელი „ბიჭები“. ისმოდა „ვაი, ვაი“, კარმდამოს ყველა კუთხეს ვეზიებოდა, იქ მყოფი ადამიანების ძვალსა და რბილში ვეღბოდა ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი მწუხარებისა და გლოვის ჰანგება...

## ნუკრი ნიკოლაიშვილი

### ბედნიერება კომპარული Happi end-ით



მოსახვევთან აღმართი იწვევოდა და სვლა არც კი შემინებლობა.

წინ უცაბედად ქვა-ლორიანი მიწაყრილი გადამეღობა, ღვარცოფს ფლატედან გზაზე რომ ჩამოერეცხა. ვეღარ ვუგანე, აწივლებული მანქანა მოსხლტა და ლაწალაწილი გადაეშვა ღრანტოპში. ბედად, ციცაბოზე ობლად ამოზრდილ ხეს შეასკდა და გამოვლევლი კარიდან ვიღაცამ თითქოს კინწისკრით მომიხროლა.

მერე ისღა მახსოვს, სუნთქვაშეკრული რომ ვიკრუნხებოდი და დაღობილ ფერდობზე კოტორი-ალობდი. ასე გორვა-გორვით მივენარცხე ქვა-ლოდს

და სულიც მაშინ ამოვიტყვი. მთელი სხეული მტეხს და სიცივისაგანაც ერთიანად ვმაგვავებ, თუმცა ცვილიობ, ხარბად ჩავისუნთქო ანკარა ჰაერი.

ტოტებშემხმარ ხეზე შერჩენილ მანქანას ავხედე. გვერდებოდა ჩაფუშული პარაშუტით დაენარცხაო. კიდევაც რომ დამექოქა, დახრამული ხევიდან ხეშით, გზამდე, ვერასვხით ავალწვედი. ფერდები დაჭკვყადა და არც მინები შერჩენოდა მთელი. ერიპა, სუსხიან ღამით თავშესაფრადც არ გამოდგება!.. არადა, სადაცაა, ჩამოღამდება... ამ თარსს და უდაბურ ადგილას კი ბეხორციელიც აღარ ჭაჭანებს.

...შაბათ-კვირით ქალაქგარეთ განავარდება წესადც კი დამხედა. პარასკევობით საბუშაოდანაც აღრინად ვიძვრენდი ხოლმე თავს და ჰერი, სოფლისაკენ!.. იმხანად სინეკურას უფრო იოლად შეველოდი, ვიდრე რუფლექსში გადაზრდილ ამ ჩვეულებას. სამსახურში კი მამაჩემის გავლენიანი ახლოობის მფარველობით დავინიშნე. სარუიანი არ ეთქმოდა, მაგრამ არც დიდი ჯაფა მადგა და დიდად არც პასუხისმგებლობა მეკისრებოდა. მეზობელ, ერთი საათის სავსეზე მდებარე ქალაქში ვმუშაობდი, სადაც ბინას ვქირაობდი.

არადა, რა ბედნიერი ვიყავი წინა წლებში, როცა მჯეროდა, ბედნიერი ვარ-მეთქი!.. სოფელში სასიარულოდ, რომელსაც ვერ ველოდი, მამაჩემმა თავისი მანქანა გადმომიღოცა...

ჰოდა, ბედნიერების სრულად შესაგრძობად, მალე რომანტიკული საბაბიც გამოიჩინა: მანქანა რომ მივეუქაშეხს, სოფლიდან მეზობლის თვალციმცინა გოგო მეგზავრებოდა. სტუდენტი იყო და პარასკევობით, ლექციების შემდეგ ვაკითხავდი,

ორშაბათს კი აღრინად გავეუღიდი ხოლმე და უნივერსიტეტშიც აღარ ავგინებდა. გზაში ჩემი სტუდენტობიდან ხალისიან ისტორიებს ვიხსენებდი და თვითონაც მიყვებოდა სასაცილო ამბებს. ჩემიანებმა სარძლოდაც კი დაადგეს თვალის... ეკ, მანცდამანც იმ დღეს არ მახლდა, რომ გადავიჩეხე: თანაკურსელის ქორწილიო და აღარ წამომგა!..

ხრამში გადაჩეხვის მომენტთან კი დღე უცებ გახდა უსახური და იძენდა მოსაწყენი, წინა დღეების ვიფორიაც კი გააუფერულა.

...ახლა საით? ანდა, ასე გასისხლიანებულ-ჩამოხეული და ლაფში ამოსვრილი, აბა, ვის მივადგე?

ნუ, თუხთუხი ჩამეხმის. თანდათან ახლოვდება, ნუთუ ვერ მიუვსწრებ? დაბეგვილ-დაბეგვილს სიარული მიჭირს და ბინდუნდში გზასაც ვეღარ ვივინებ. თავგზაბუნული კი მეტისმეტად თუ ეჩქარობ: ფეხი ამისხლტა და ყირამალა მივექანები თავქვე. ისე ღრმად ჩავგორდი ხეში, სულ ახლოდან ისმის მოდილეული მდინარის ზათიქი.

- ჰეი, ჰეი! ეკეპეი!.. - განწირულად გავყვირი მთელი ხმით, ეგებ როგორმე ზემოთ გავაგონო-მეთქი: ხეზე შერჩენილ ჩემს ვერანას თუ შეასწრეს თვალის და ახლა საშველად ემურებოან...


გზაზე მიმქროლავი ავტო ანაზღეულად მართლაც დამხურუჭდა. სხივების კონა ჯიდად დაადგა ხეზე შერჩენილ მანქანას და ზედ დაეჯინა.

მომხდური შუქმუხენი ავტოფურგონიდან სიქაწლე და სიმსუქნეშეპარული ტიპი გადმოიზლანა. კუშტად მოავლო მხერა იქარობას, ბუჭქებს მოეჭიდა და ცვილობს, ფერდობზე ჩამობობდეს. მოცურდა და ჩემს მხსნელ ხეს რომ არ შეეჩერებინა, სულაც მდინარეში მოადენდა ზღარტანს. არადა,

**რედაქტორის მადიერ:**  
**ჯემალ დოზორჯიანი**

# პოლიტიკური და სოციალური ვითარება საქართველოში

## იმატება მსახურული უფლებით



ლანჩხუთში, ჩოხატაურსა და გურიის ბერ სოფელში ახალწვეულები დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გამოკეტეს.

1904 წლის დასაწყისში რსდმპ გურიის კომიტეტის II კონფერენცია (ფრილობა) შედგა. ფრილობის მთავარ საკითხთა შორის იყო: 1. ადმინისტრაციული დაწესებულებების, სასამართლოსა და პოლიციის, ბოიკოტირება; 2. მქმ-მულების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება. კონფერენციის შემდეგ რსდმპ გურიის კომიტეტმა საავტორო მუშაობა გააგრძელა. სოფლებში გლეხები მასობრივად იკრიბებოდნენ და საპროტესტო დემონსტრაციებს მართავდნენ, რასაც ხელისუფლების მხრიდან რეპრესიები მოჰყვა. 1904 წლის 20 აპრილს პრისტავი კვამალი პოლიციელების თანხლებით სოფელ ლანჩხუთში თავს დაესხა გზაზე მიმავალ გლეხთა ჯგუფს და ორი მათგანი, **კონსტანტინე ჩაჩავა და იოსებ ებრაელიძე**, მოკლეს. ორივე მოკლულს მთელი გურია კარგად იცნობდა, გლეხებმა რამდენიმე საპროტესტო დემონსტრაცია გამართეს. დემონსტრაციის მონაწილეთაგან ზოგიერთი დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს.

1904 წლის 1 მაისს გურიის სოფლებში დიდი დემონსტრაციები გაიმართა, რომლებშიც შეიარაღებული გლეხები მონაწილეობდნენ. სოფელ **სურეზიდან** და **ხიდისთავიდან** დაძრული გლეხები უნდა შეერთებულიყვნენ დათქმულ ადგილას, მაგრამ ისინი პოლიციის რაზმს გაეფანტა. ამ შეჯახებისას დაღუპნენ ხიდისთაველი მჭედელი იესე კალანდარიძე და 18 წლის **ფიცხიშვილი**. მათის დემონსტრაციებმა წარმატებას ვერ მიაღწია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ გლეხობა ცუდად იყო ორგანიზებული, ხოლო ხელისუფლების აგენტურული ქსელი კარგად მოქმედებდა.

1904 წლის დარჩენილ თვეებში გურიაში გლეხებს სერიოზული გამოსვლები აღარ მოუწევიათ. აგრარული მოძრაობის ახალი აღმავლობა 1905 წლის დამდეგიდან დაიწყო.

ურთიერთობა გლეხებსა და მქმ-მულებს შორის დაიძაბა ქართლში, გორის მაზრაში. 1903 წლის ზაფხულში მღვდლარება მოხდა **გორის მაზრის** რამდენიმე სოფელში. პოლიციის მიერ ჩატარებული ძიებით დადგინდა, რომ გლეხებს მქმ-მულების წინააღმდეგ აგიტატორები ამხედრებდნენ. ამასთან დაკავშირებით თბილისის გუბერნიის უნდაძგერის სამმართველოში მოკვლევა და შემდეგ ძიება დაიწყო. დადგინდა, რომ გორის მაზრის სოფლებში გლეხებს აჯანყებისკენ მოუწოდებდა ძიებისათვის უცნობი ახალგაზრდა კაცი: უცნობმა პროპაგანდისტმა 1903 წლის 25 ივლისს გორის მაზრის სოფელ **დირბის** გლეხობა შეკრიბა, შეკრებაზე მან სოფლებს რაღაც დოკუმენტი წაუკითხა. პროპაგანდისტმა გლეხებს არწმუნებდა, რომ იგი მათთან პარტამ(ძიების მასალებში პარტიის ზუსტი დასახელება არ მოიპოვება — ვვ.) გაგზავნა, რომლის მიზანი იყო გლეხობის განათავისუფლება და მქმ-

მულებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მათი მხარდაჭერა. სოფელ დირბის მამასახლისის ცნობით, ამ შეკრების შემდეგ გლეხებმა უარი თქვეს მონასტრისათვის ღალის გადახდაზე. ძიებით დადგინდა, რომ დირბის შემდეგ აგიტატორი სოფლებში: **არაღეთში, ბრეთში, სოლაღაშენში, გოგეთში, თამარაშენში, ქატიეთისა** და სხვ. იმყოფებოდა. ყველა სოფელში პროპაგანდისტები გლეხობას არწმუნებდა, რომ რუსეთის მთავრობის დადგენილებით, თავადაზნაურობის მიწა უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა გლეხობას. გარდა ამისა, თითქმის იმავე დადგენილებით, გლეხობას სახელმწიფოსა და ეკლესიისათვის აღარავითარი გადასახადი არ უნდა გადაეხადა. მართალია, ძიებამ უტყუარად მიიჩნია პროპაგანდისტის გამოსვლა სოფელ დირბში, მაგრამ არ დადასტურდა, რომ დირბელი გლეხების უარი მონასტრისათვის ღალის გადახდაზე მისი აგიტაციის შედეგი არ იყო. პროპაგანდისტმა დირბში 1903 წლის 27 ივლისს ჩაგვია, დირბელებმა კი მონასტრისათვის ღალის გადახდაზე უარი ვერ კიდევ 1903 წლის გაზაფხულზე განაცხადეს.

აგრარულმა მოძრაობამ ქართლში, ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, მასობრივი ხასიათი 1905 წლის გაზაფხულიდან შეიძინა.

### ცვლილება რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში მასილი ვოლიჩაო (XIX საუკუნის 90-ანი წლები — XX საუკუნის დამდეგი)

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველოსა და კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირები, დაწესებული გენერალ-ლეიტენანტ **კარლ ქორინგიდან** (1801-1802) გენერალ-ადიუტანტ **სერგეი შერშტეიეთი** (1890-1896) დამთავრებული, ლაღ მფარველობდნენ სომხებს. ეს პოლიტიკა გრძელდებოდა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში. ცენტრალური ხელისუფლების მითითებით, კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია სომხებს მფარველობდა როგორც სომხეთის ისტორიულ ტერიტორიაზე, ისე საქართველოში, აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიაში. ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს მხოლოდ ადრანაპოლის ზავის (1829 წ.) შემდეგ ოსმალეთიდან სომხების გადმოსახლება და მათი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე დასახლება, არც ბერლინის კონგრესის (1878 წ.) შემდეგ სომხების მასობრივი ჩასახლება აფხაზეთში. ათწლეულების განმავლობაში კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია სომხებს ხელს უწყობდა საქართველოში უძრავ-მოძრავი ქონების შექმნაში. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა ბატონყმობის გაუქმებისა და მომდევნო რეფორმების შემდეგ (XIX საუკუნის 60-70-იანი

წლები). ამ პოლიტიკის წყალობით სომხებმა ხელში ჩაიგდეს კავკასიის და, განსაკუთრებით კი საქართველოს, ვაჭრობა-მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. სომხური ბურჟუაზია იმდენად გაძლიერდა, რომ სერიოზულ კონკურენციას უწევდა რუსულ და უცხოურ კაპიტალს. სომხებმა მყარად მოიკიდეს ფეხი თბილისის გუბერნიაში, განსაკუთრებით — თბილისში, ქუთაისის გუბერნიაში — აფხაზეთში, ბათუმის ოლქში, ქალაქ ბათუმსა და ყარსის ოლქში. საქალაქო რეფორმის შემდეგ პერიოდში, XIX საუკუნის 70-90-იან წლებში, სომხები გაბატონდნენ ქალაქ თბილისის თვითმმართველობაში, მოგვიანებით კი სერიოზული პოზიციები მოიპოვეს საქართველოს სხვა ქალაქების მართვა-გამეფებაშიც.

სომხებმა რომ კავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს, ვაჭრობა-მრეწველობის ხელში ჩაგდება მოახერხეს, ამას რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ თავდაპირველად საშიშს ვერაფერს ხედავდა. სომხები კავკასიაში ჯერაც რუსეთის დასაყრდენ ძალად განიხილებოდნენ. პეტერბურგში ყურადღებას არ ამახვილებდნენ იმაზე, რომ ვაჭრობა-მრეწველობაში მოპოვებული წარმატებების კვლავიკვლავ სომხების ერთგული ცნობიერება სულ უფრო ძლიერდებოდა და რუსეთის იმპერიის დასაყრდენიდან სომხები უკვე იმპერიისათვის საშიშ ძალად იქცნენ. სეპარატიზმმა სერიოზულად მოიკიდა ფეხი მოსახლეობის ყველა ფენაში. ეს, თავისთავად, მეტად საშიში მოვლენა იყო. ამ საშიშროებას კიდევ უფრო ზრდდა ოსმალეთის სომხობაში მიმდინარე პროცესი. საქმე ის იყო, რომ ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხების ნაწილი ოსმალეთის მიერ მიტაცებული საქართველოს დანაწილი კი ასევე მიტაცებულ ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ისინი XIX საუკუნეში ეკონომიკური თვალსაზრისით სწრაფად დაწინაურდნენ, სერიოზული პოზიციები მოიპოვეს ვაჭრობაში, დაუფლდნენ დიდი ოდენობის უძრავ და მოძრავ ქონებას. ისევე, როგორც რუსეთის იმპერიაში, ოსმალეთის ხელისუფლებაც ამ პროცესს ხელს არ უშლიდა. ოსმალეთი მხოლოდ მას შემდეგ გამოეხიზნებოდა, რაც სომხების ეროვნული ცნობიერება განსაკუთრებით გაძლიერდა და დაიწყო „დიდი სომხეთის“ აღდგენის იდეის პროპაგანდა, რასაც ოსმალეთის ხელისუფლების მხრიდან სომხთა შევიწროება და დარბევები მოჰყვა.

XIX საუკუნის 90-იანი წლები-ისათვის რუსი პოლიტიკოსებიც გამოეხიზნებოდნენ და რუსეთის იმპერიისა და ოსმალეთის საზღვრებში მცხოვრები სომხების ეროვნული ცნობიერების გაძლიერებას, ეროვნული მოძრაობის აღმავლობას და „დიდი სომხეთის“ აღდგენის იდეის პროპაგანდას უკვე სერიოზული ყურადღება მიაქციეს. **რუსეთისა და ოსმალეთის სომხობაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაწყებული ეროვნული მოძრაობა შეიძლება ერთ მოძრაობად გაერთიანებულიყო და ამ სახელმწიფოების ტერიტორიული მილიანობისათვის სერიოზული საფრთხე შექმნა, „დიდი სომხეთი“ ზომ რუსეთისა და ოსმალეთის მიერ მიტაცებულ სომხურ და ქართულ ტერიტორიებზე უნდა შექმნილიყო.** ისიც არ წარმოადგენდა დიდ საიდუმლოებას, რომ დასავლეთ ვეროპის სახელმწიფოები რუსეთისა და ოსმალეთის მიერ ტერიტორიების დაკარგვას, სამხრეთ კავკასიიდან რუსეთის, მცირე აზიის ჩრდილოეთ პროვინციებიდან კი ოსმალეთის განდევნას მიესალმებოდნენ და მხარს დაუჭერდნენ. საბოლოოდ, „დიდი სომხეთის“ აღდგენის იდეა

არარეალური აღმოჩნდა, მაგრამ XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის ამ იდეის რეალიზაცია თუ არარეალიზაცია ცხადი და გარკვეული არ იყო. ნათლად ჩანდა ერთი რამ: „დიდი სომხეთის“ აღდგენის იდეა რუსეთის იმპერიის კავკასიაში სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა, რადგან ამ იდეის განხორციელება სომხთა ეროვნული მოძრაობის უზრუნველყოფას წარმოადგენდა, ხოლო მისი პროპაგანდა სომხებს რუსეთის იმპერიის მორჩილი ქვეყნად მოიხილავდა ძლიერ ანტირუსულ ძალად გადაქცევდა.

აუცილებელი გახდა მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში, რაც სომხებისადმი მხარდაჭერის შეწყვეტას, მეტიც, ანტი-სომხური პოლიტიკის გატარებას ნიშნავდა. ამგვარი რადიკალური ცვლილება თითქმის ერთსაუკუნოვანი პრო-სომხური პოლიტიკის შემდეგ ადვილი არ იყო. ახალი პოლიტიკური კურსის ამოქმედებამდე აუცილებელი გახდა ამ ცვლილების გარღვევლობის განმარტება: **კავკასიაში აქმდე რუსეთის იმპერიის დასაყრდენი სომხების აწ რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების მოწინააღმდეგედ, მტრად გადაქცევის დასაბუთება.** ამ ძალზე ძნელი მისისი განხორციელებაში ლომის წილი დაიღო ცნობილი პოეტმა, პუბლიცისტმა, ჟურნალისტმა, ამ დროისათვის უკვე კარგად ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ **ვასილი ველიჩკომ** (1860-1903).

ვასილი ველიჩკო 1860 წელს დაიბადა უკრაინაში, პოლტავის გუბერნიის ქალაქ პრილუკში, მემამულის ოჯახში. 1870 წელს კევის დანიელის სახელობის პანსიონში შეიყვანეს. 1883 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამართალმცოდნეობის სასწავლებელი, რის შემდეგაც მუშაობდა ვერ რუსეთის იმპერიის ოუსტაციის, ხოლო შემდეგ — სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში. ახალგაზრდობის წლებიდანვე აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებსა და ნოველებს. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლიბერალურად განწყობილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან, მეგობრობდა ცნობილ რუს ფილოსოფოსსა და ღვთისმეტყველ **ვლადიმერ სოლოვიოვთან** (1853-1900). XIX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დამდეგს ველიჩკო იყო იმ ლიტერატურული წრის სულიწამდემელი და ორგანიზატორი, რომელშიც მუშაობდნენ გამოჩენილი რუსი მწერლები, მხატვრები და მეცნიერები: **ნიკოლაი ლესკოვი, დანიელ მორდოვეცი, ილია რუბინი, ნიკოლაი კარამზინი, ალექსანდრ ვესელოვსკი და ალექსანდრ ლაიფენსკი.** ვასილი ველიჩკო თარგმნიდა სპარსული, თურქული და ქართული პოეზიიდან, კრძალ, მას ეკუთვნის **ომარ ხაიამის, აკაკი წერეთლის, ილია ტყეშელაშვილის** და **რაფეელ ერისთავის** ლექსთა თარგმანები. XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან ველიჩკო რუსეთის ლიბერალურ პრესასთან ურთიერთობას წყვეტს. ამ დროიდან მისი მსოფლმხედველობა კარდინალურად იცვლება. ვასილი ველიჩკოს პოლიტიკურმა პლატფორმამ ევოლუციის იდეა გზა გაიარა, რაც გვხვდება იმ ეპოქის ბევრ საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწესთან. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს გაზნული „მოსკოვსკი ველიჩკო“ და მისი რედაქტორი **მისაილ კატკოვი** (1818-1887) და რუსეთის ეკლესიის სინოდის ობერპროკურორი **კონსტანტინ პოლენინსკი** (1827-1907), რომლებიც ლიბერალური რეფორმების განხორციელებისა და რუსეთის პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაციის მომხრეებიდან კონსერვატორ მონარქისტებად და ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების, თვითმპყობლობის იდე-

ოლოგებად იქცნენ. ვასილი ველიჩკომ სწორედ მისაილ კატკოვის კონსერვატორულ-მონარქისტული იდეების ძლიერი გავლენა განიცადა.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ვასილი ველიჩკოს ანტისომხური პოლიტიკის მთავარი იდეოლოგის ფუნქცია დააკისრა. 1896 წელს იგი თბილისში გამოძავალი ხელისუფლების ოფიციალური ორგანოს, გაზეთ „კავკაზის“, რედაქტორად მიიწვიეს. ველიჩკო თბილისში ჩამოვიდა და 1897 წლიდან რედაქტორის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ამ თანამდებობაზე იგი 1899 წლამდე მუშაობდა. დაახლოებით იმავე დროულად, 1896 წლის 12 დეკემბერს, კავკასიის მთავარმართებლად დანიშნა გენერალ-ადიუტანტი **გრიგორი გოლიცინი** (1838-1907), რომელიც ამ თანამდებობაზე 1905 წლის თებერვლამდე დარჩა. გრიგორი გოლიცინის სახელს უკავშირდება ანტისომხური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება. ანტისომხურ პოლიტიკას 1897 წლიდან აქტიურად უჭერდა მხარს გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორად დანიშნული ვასილი ველიჩკო, რომელმაც ამ საკითხს მრავალი წერილი მიუძღვნა. ეს წერილები 1897 წლიდან იბეჭდებოდა ძირითადად გაზეთ „კავკაზში“ რამდენიმე წერილი ველიჩკომ „კავკაზის“ რედაქტორიდან გადაღების (1899 წ.) შემდეგაც გამოქვეყნა, ხოლო ერთი მათგანი მისი გარდაცვალების (1903 წ.) შემდეგ, 1904 წელს, დაიბეჭდა „რუსსკი ვესტნიკში“ 1904 წელს დაიწყო ვასილი ველიჩკოს „პუბლიცისტური თხზულებების სრული კრებული“ გამოცემა, რომლის პირველი ტომი იმავე წელს დაიბეჭდა. თავის წერილებსა და სტატიებში ველიჩკო სომხებს წარმოაჩენდა, როგორც „მაგენ“ ერს, რომელიც „კავკასიაში რუსულ საქმეს“ მტრობდა. ამის საპირისპიროდ ველიჩკო აცხადებდა, რომ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას ხელს უწყობდნენ ქართველები. ქართველებს ველიჩკო მიიჩნევდა კავკასიაში რუსების მთავარ მოკავშირეებად და ამას იმით ხსნიდა, რომ ქართველებსა და რუსებს ერთმანეთთან მართლმადიდებლური რწმენა, ისტორია და ერთი სახელმწიფოებრივი იდეალები აკავშირებდათ. ველიჩკო მიიჩნევდა, რომ ქართველებს რუსებთან დიდი სულიერი ერთობა გააჩნდათ რის გამოც ქართველები რუსების მძებად უნდა მივიჩნიოთ.

ვასილი ველიჩკოს კავკასია, კავკასიის ერები და ხალხები, მათი წარსული, თანამდროვე ყოფა და ურთიერთობა ერთადერთი მიზნით ანტიერესებდა: რა მდგომარეობაში იყო კავკასიაში „**რუსული საქმე**“ ზომ არ ემუქრებოდა რაიმე საფრთხე რუსეთის ბატონობას და თუ ეს საფრთხე არსებობდა, რომელი ერისაგან მომდინარეობდა იგი. ამავე დროს, ველიჩკო ყურადღებით აკვირდებოდა, თუ რა შეცდომები დაუშვა რუსეთის საიმპერიატორი კარმა და კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ ამ რეგიონის ათვისების საქმეში, რა შედეგი მოჰყვა ამ შეცდომებს. ამიტომაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ვასილი ველიჩკო არც ქართველი მოყვარეა და არც — სომხთმობილეთ. რუსეთის პატრიოტს ერთადერთი საკითხი ანტიერესებს: რუსეთმა არ დაკარგოს კავკასია, ხოლო ყველა ხალხი და ერი, რომელიც კავკასიიდან რუსეთის განდევნას ცდილობს, მისთვის მტერია.

### პასტაჩი გურული (გაგრძელება იქნება)

(გაგრძელება იქნება) **ვასილი ველიჩკო, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918)**, წიგნი 3, გვ.82-85)

# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხილისთავში ნოდარ ღუმბაძის 92 წლის იუბილე აღინიშნა

ღუმბაძის სახელობის სკვერში ბიუსტი ყვავილებით შეამკეს და მწერლის სახლ-მუზეუმი დაათვალიერეს. ღუმბაძის ნაწარმოების მიხედვით, სახალხო თეატრის დასის მონაწილეობით შესრულდა სკეტი.

ღონისძიებას გურიის სახელმწიფო რწმუნებული **ზურაბ ნასარაია**, ჩოხატაურის მერი **ირაკლი კუჭავა**, საკრებულოს თავმჯდომარე **ზაალ მამალაძე** და ადგილობრივი



ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

# COVID 19-ის კანდიდიის გავლენა ადგილობრივ ეკონომიკაზე



**ალიონი.** გასულ ოთხშაბათს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა დიალოგი ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამონაწილეობითი რეგიონული განვითარების საკითხებზე.

დიალოგის თემა გახლდათ „COVID 19-ით გამოწვეული ეპიდემიის გავლენა ადგილობრივ ეკონომიკაზე: გამოწვევები და გადალახვის გზები.“ ამ თემაზე მოხსენება გააკეთა **კახაბერ დაუშვილი**.

„ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ COVID 19 შეფასდა მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ გამოწვევად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მათი შეფასებით აღნიშნული პანდემიის მიერ გამოწვეული პრობლემების შედეგად მოხდება მსოფლიო სოციალური და ეკონომიკური კავშირების ფუნდამენტური ცვლილება.“ აღნიშნა მომხსენებელმა.

საინტერესო მოხსენებების შემდეგ გაიმართა დისკუსია.

# „ნარჩენები და გარემო“



**ალიონი.** გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის გურიის რეგიონულმა კომიტეტმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ კოალიციური პროექტი „ნარჩენები და გარემო“ წარმოადგინეს, რომელიც „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის“ რამდენიმე ამოცანის შესრულების მონიტორინგს ითვალისწინებს.

აღნიშნული თემა „სდექ“-ის გურიის რეგიონული კომიტეტის ხელმძღვანელმა **მაია ბერიძემ** წარმოადგინა. ნარჩენების მართვის, პლასმასების

ნარჩენების სეპარირების, სტიქიური ნაგასაყრელების, ქაღალდის სეპარირების თემაზე ისაუბრეს სდკ თავმჯდომარე **ლევან ხინთიბიძემ**, მუნიციპალიტეტის უფროსმა სპეციალისტმა **ირინა ინარიძემ**, თურისტმა **ნინო კვაჭანტირაძემ**, ოზურგეთის პროგრესის სახლის წარმომადგენელმა **ნათია ვაშლიანიძემ**, „სერვისცენტრის“ უფროსმა **თენგიზ ქუტიბიძემ**.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **ალექო მამეშვილმა** იაპონიის საელჩოს გრანტის შესახებ ისაუბრა, რომელიც მუნიციპალიტეტისათვის სპეციალური ნაგავ-მზიდი მანქანის შეტენას ითვალისწინებს.

# შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი გაიხსნა

15 ივლისს, შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი გაიხსნა.



დენდროლოგიური პარკი, თავისი მასშტაბით, მცენარეთა უნიკალური და მრავალფეროვანი კოლექციით, ბიომრავალფეროვნების შემცენებისთვის საუკეთესო გარემო პირობებითა და ორიგინალური განაშენიანებით, სრულიად გამორჩეულია არა მხოლოდ შავიზღვისპირეთში, არამედ მთელ რეგიონში. დღევანდელი პარკი წლების განმავლობაში ჭაობად ქცეული ტერიტორია იყო. მის გარდასაქმნელად შესრულდა მასშტაბური, ექსტრაორდინარული სამუშაოები.

60 ჰექტარზე გაშენებული ბაღი, ადგილობრივი და მსოფლიო ეგზოტიკური ფლორის ათასობით სახეობას აერთიანებს. შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკში, 18 ჰექტარზე გაშენდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან გადმორგული 29 უნიკალური სახეობის 200-ზე მეტი გიგანტური ხე. 42 ჰექტარზე კი, მსოფლიოს განმავლობაში შემოტანილი სხვადასხვა ეგზოტიკური სახეობის ათასობით ხე-მცენარეა წარმოდგენილი.

მცენარეთა უნიკალურ კოლექციასთან ერთად, პარკის ტერიტორიაზე მსოფლიოს ყველა კონტინენტის 58 სახეობის ფრინველი ბინადრობს, რომელთა უმეტესობა წითელ ნუსხაშია შეტანილი. დენდროლოგიური პარკის ტერიტორიაზე ასწლოვან მცენარეებთან ერთად გაშენებულია ბამბუკების კორომი. დამთვალიერებლისთვის დაუვიწყარი სანახაობაა ეგზოტიკური ფრინველებით დასახლებული ტბა.

შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი ბიძინა ივანიშვილის მიერ რეგიონისთვის განხორციელებული კიდევ ერთი საქველმოქმედო პროექტია. ციციანათელების პარკი, მინიატურების პარკი, მუსიკოსების პარკი, ბლექსი არენა, სასტუმრო პარაგრაფი და ახლა უკვე დენდროლოგიური პარკი - ეს ყველაფერი ერთად მთელ ქვეყანას, განსაკუთრებით კი ამ რეგიონს, უფრო მეტად მიმზიდველს ხდის.

დენდროლოგიური პარკის გახსნა განსაკუთრებული ღონისძიებებით არ აღნიშნულა. ამის მიუხედავად, დღიდან პარკს რამდენიმე ათასი დამთვალიერებელი უკვე ესტუმრა. მსურველებს პარკის მონახულება უფასოდ შეუძლიათ.



# 7 დღის ამინდის პროგნოზი

<b>მზი, ღრუბლი</b> +21+31 20 ივლისი ორშაბათი	<b>წვიმა</b> +19+24 21 ივლისი სამშაბათი	<b>წვიმა</b> +17+23 22 ივლისი ოთხშაბათი	<b>მზი, ღრუბლი</b> +19+23 23 ივლისი ხუთშაბათი	<b>მზი, ღრუბლი</b> +16+22 24 ივლისი პარასკევი	<b>წვიმა</b> +17+25 25 ივლისი შაბათი	<b>მზი, ღრუბლი</b> +18+25 26 ივლისი კვირა
--	---	---	---	---	--	---